F 25
1891

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 4 1883-1891 28 თებერვალი.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 5 მან. | 12 თვით | 6 მან. |
| 6 — | 3 — | 6 — | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

F 474

## სასულიერო გამომძიებელნი.

კიდევ დიდი ხანი გაივლის იმ დრომდე, სანამ ჩვენი სამღვდელოება ეღირსებოდეს ყველა იმას, რაც სხვა განათლებულ სამღვდელოებაში დღეს უკვე შემოღებულია. ბევრი რამ ნაკლი აქვს ჩვენს სამღვდელოებას, მაგრამ ყველა ამ ნაკლულევანებათა შორის უმთავრესი და ყველაზედ თვალ-საჩინო ნაკლულევანება ისაა, რომ ჩვენს სამღვდელოებაში არ მოიპოებიან გამოცდილი გამომძიებლები...

დიდი ფული ეხარჯება სასულიერო მართებლობას რიგიანი გამომძიებლების ჯამაგირებისათვის. სასულიერო უწყებაში გამომძიებლებად დღეს უმეტესად უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულ პირთ ნიშნავენ იმ იმედით, რომ ასეთი პირნი უფრო კარგად შეასრულებენ გამომძიებლის თანამდებობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უმაღლეს სწავლა მიღებულ პირთაც ძალიან უჭირსთ რიგიანად საქმის ძიება...

რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენს სასულიერო გამომძიებლებზედ, რომელთაც არც უმაღლესი სწავლა აქვსთ მიღებული და გამოცდილება ხომ სრულებით არა აქვსთ. ჯამაგირზედ ხომ ხმის ამოღებაც არ შეიძლება. ზოგიერთ პირს ჰგონია, რომ თუ მან

რომელიმე სასწავლებელი გაათავა, შემდეგ მისთვის ვითომ საჭირო აღარ არის საქმის ძიების შესწავლა, ანუ რომელიმე სახელმძღვანელოს გადახედვა და კანონთა წიგნების შესწავლა... ასეთი პირი თამამად ჰკიდებს ხელს ყოველ საძიებელ საქმეს, და ფიქრობს, ვითომ ძლიერ საადვილო იყოს იგი. საქმის ძიების და კანონების უვიცობა ძლიერ მალე იჩენს თავს. ერთი და იგივე საქმე ოთხჯერ-ხუთჯერ ბრუნდება უკან და ორ-სამ გზის იბარებენ ერთისა და იმავე საქმისათვის მოწმებს. კიდევ კარგი, თუ გამოძიება ამდენი მიწერ-მოწერის შემდეგ მაინც შესდგა რიგიანად. ხშირად გამოუცდელი გამომძიებელი ისე დახლართავს საქმეს, რომ მართალი მხარე თავს ველარ მართლულობს და სულ უმიზეზოდ ისჯება, როდესაც უმართლო და აშკარა დამნაშავე კი მართლდება. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენში არც ერთი გამომძიებელი არ სცდილობს, რომ საქმის გამოძიება შეისწავლოს რიგიანად. დღეს, მადლობა ღმერთს, მრავალი სახელმძღვანელო წიგნები მოიპოება, რომელნიც საქმის გამოძიებაში ძლიერ ხელს უწყობს გამოუცდელ გამომძიებელთ. მაგრამ წინ გვეღობება საქმის დაუდევნელობა, და შემცდარი აზრი, შედგენილი თავის თავზედ, ვითომც ჩვენ ყველაფერი ვიცოდეთ და საჭირო აღარ იყოს ამისთანა წიგნების კითხვა...

მართალია, ამ გამომძიებელთათვის სასწავლებლებში არავის უსწავლებია საძიებელი საქმეების წარმოება, მაგრამ ეს საპატიო მიზეზი არ არის. როდესაც ისინი ხელს ჰკიდებენ გამომძიებლობას, თვითონ უნდა ეცადონ, რომ ეს საქმე რიგიანად შეისწავლონ. და თუ სურვილი ექნებათ, ეს ადვილი მოსახერხებელია მათთვის, რადგან, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, დღეს მრავალ პირთაგან არის შედგენილი და გამოცემული სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნები, რომლებიც დიდ შემწეობას და დახმარებას უწევენ ახალ და გამოუცდელ გამომძიებელთ საძიებელი საქმეების წარმოების დროს. ამიტომ სასურველია, რომ ყოველმა სამღვდელო პირმა და განსაკუთრებით სასულიერო გამომძიებლებმა მოიპოვონ ეს სახელმძღვანელო წიგნები და წაიკითხონ, თუ ჰსურთ თავიანთ მოვალეობათა რიგიანად შესრულება. მაგრამ რადგან ზემოდ აღნიშნულნი სახელმძღვანელონი რუსულს ენაზე არიან დაწერილნი და ჩვენმა სამღვდელოების უმეტესმა ნაწილმა რუსული არ იცის, ამიტომ ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ საჭირო ცნობათა, რომელთა ცოდნა საჭიროა როგორც გამომძიებელთათვის, ისე იმ პირთათვის, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან. აი ეს ცნობანი:

სასულიერო გამომძიებელმა გამოძიების შედგომამდის უნდა წაიკითხოს გამოსაძიებელი საქმე და გაიგოს დედა აზრი დამნაშაობისა, რომელიც უნდა გამოიძიოს; მხოლოდ ამ მოთხოვნილების შესრულების შემდეგ შეუძლია გამომძიებელს მისცეს გასაგები და საჭირო კითხვები როგორც მომჩივანს და მოპასუხეს, ისე მოწმებს.

ბრალდებულს უსათუოდ თვითონ გამომძიებელმა უნდა ჰკითხოს და მისი ჩვენება ჩასწეროს სიგელში; ბრალდებულს, რომელმაც წერა იცის, გამომძიებელმა თავის ხელით უნდა ჩააწერინოს ჩვენება, რომელიც მან უწინ სიტყვიერად მისცა გამომძიებელს. ბრალდებულისაგან წერილობითი ჩვენების მოთხოვნა, ნაცვლად პირდაპირი კითხვისა, კანონით არ შეიძლება და წინააღმდეგია გამოკითხვის დედა აზრისა, რადგან გამოძიების დროს უსათუოდ უნდა დაესწროს ბრალდებული. ასევე უნდა მოიქცეს გამომძიებელი მოწმების და სხვა პირთა კითხვის დროსაც, რომელნიც მოხსენებულნი არიან საქმეში, და რომელნიც კანონის ძალით მოიწვევიან საკითხავად და არა წერილობით ერთმევათ ჩვენება. ამ წერილობით უკანონო ჩვენების ჩამორთმევას ხშირად ხმარობენ სასულიერო გამომძიებელნი, როცა მოწმებად ინიშნებიან სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურენი და მაღალი წოდების პირნი, რომელნიც თავის ჩვენებას წერილობით უგზავნიან გამომძიებელს და თვითონ კი არ ესწრებიან გამოძიებაზე. კანონით ავადმყოფთ, წარჩინებულ და მდედრობითი სქესის პირთ თავად-აზნაურთაგან შეიძლება მათ სახლში ჩამოართვან ჩვენება მომჩივან-მოპასუხის თანადასწრებით, თუმც ეს უკანასკნელნი ისურვებენ დასწრებას და დანიშნულს დროს გამოცხადდებიან. ამ დადგენილი კანონის აღუსრულებლობის მიზეზია, რომ ხშირად გამოსაძიებელი საქმე ნაცვლად მოწმის ცხადი და მოკლე პასუხისა ივსება წერილობითი პასუხებით, ცნობებით და ოტნოშენიებით, რომელნიც უმძიმებენ სასულიერო სამსაჯულოს საქმის განხილვას წინააღმდეგ კანონისა, რომელიც ითხოვს, რომ გამოძიებამ უნდა მოიყვანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის გარემოება ისეთი სიცხადით და სისრულით, რომ სამსაჯულოს არ გაუჭირდეს თავის განაჩენის დადგენა ამ საქმის შესახებ. რასაკვირველია, რომ ასეთ ცნობათა რიცხვს არ ეკუთვნიან ის წერილობითი პასუხები და ცნობები, რომელნიც საჭირონი არიან საქმისათვის და რომელთა შემწეობით გამომძიებელი იღებს ცნობას იმ პირთაგან, რომელნიც წესებით არ არიან მოხსენებულნი გამოსაძიებელს საქმეში როგორც მომჩივანნი და მოპასუხენი, მაგრამ რომელთაც მოთხოვნილების დროს შეუძლიათ საჭირო ცნობები მისცონ გამომძიებელს, მაგალითად: ცნობა რომელიმე შემთხვევაზე, ანუ საგანზე, რომელიმე პირის საცხოვრებელ ადგილის შესახებ და სხვანი... სასულიერო გამომძიებელს თავის ნებით არ შეუძლია დაითხოვოს მომჩივანი და მოპასუხე, რომ ისინი არ დაესწრონ გამოძიების დროს; მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს მომჩივანის ან მოპასუხის დათხოვნას ვისიმე ჩვენების ჩამორთმევის დროს, ანუ თუ მომჩივანი ან მოპასუხე რაიმე უწესოებას ჩაიდენს გამოძიების დროს, ასეთი შემთხვევის შესახებ გამომძიებელმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელზედაც ხელი უნდა მოაწეროს როგორც თვითონ მან, ისე დეპუტატმა, რომელიც ესწრება სამოქალაქო უწყების მხრით და მოწმებმა, რომელნიც დაესწრებიან სიგელში აღწერილ შემთხვევის დროს (თუ მომჩივანი საერო პირია, მაშინ გამოძიებაზე დასასწრებლად მოწვეულ უნდა იქმნეს პოლიციის მოსამსახურე პირი). ამასთანავე გამომძიებელმა, შემდეგ ზემოდ აღნიშნულ პირთა სიგელზე ხელის მოწერისა, უნდა ჩასწეროს თავის დადგენილობა იმ განკარგულებაზე, რომელსაც ის მოახდენს ამ სიგელის შესახებ და ამ თავის განკარგულებას უცხადებს იმ პირს, რომელსაც ეხება ეს განკარგულება; მოწმის ჩვენება, რომელიც ჩამორთმეულ იქნება მომჩივანის ანუ მოპასუხის დაუსწრებლად, უნდა წაეკითხოს ამ უკანასკნელთ. ამ წესის დაცვა მოწმების კითხვის დროს საჭიროა, რადგან მომჩივანს ან მოპასუხეს, რომელნიც გამომძიებლისაგან დათხოვნილ იქმნენ გამოძიების დროს, როცა ესრეთი დათხოვნა ხდება არა პატივსადებ მიზეზთა გამო, შეაქვსთ საჩივარი გამომძიებლის უკანონო და მიდგომილებითი მოქმედების შესახებ, რომელიც ძალიან უძნელებს საქმეს სამსაჯულოს საქმის გადაწყვეტის დროს და ეჭვსა სდებს გამომძიებლის მოქმედებას და თვით გამოძიებული საქმის სინამდვილეს და სიმართლეს. გამომძიებელი ვალდებულია კანონით, რომ მოწმები წარუდგინოს მომჩივანს და მოპასუხეს და ჰკითხოს მათ, აქვსთ თუ არა მათ რაიმე კანონიერი მიზეზი, რომ რომელიმე მოწამე გადააყენონ მოწმობისაგან ფიცქვეშ, მაგრამ ამ მოქმედების შესახებ გამომძიებელმა უსათუოდ უნდა შეადგინოს კერძო სიგელი და დაადგინოს თავისი განსაკუთრებითი დადგენილობა. მოწმების წარდგენა მომჩივნის და მოპასუხესათვის საჭიროა და ამის აღუსრულებლობა სინამდვილეს უკარგავს გამოძიებულ საქმეს. ამასთანავე სასულიერო გამომძიებლებმა უნდა იცოდენ, რომ არიან პირნი, რომელთაც უფიცრად ჩამოერთმევათ ჩვენება, და არიან პირნი, რომელთაც არ შეიძლება ეკითხოს ფიცქვეშ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მომჩივანი ან მოპასუხე ისურვებს, რომ მოწმებს უფიცრად ეკითხოს. არ შეიძლება გადაყენებულ იქმნეს მოწამე ნათლიობის მიზეზით.

მოწმები უნდა დააფიცონ თანადასწრებით გამომძიებლისა, მომჩივნისა და მოპასუხისა და გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მოწამემ, რომელმაც ფიცი მიიღო, მაშინვე ხელი მოაწეროს ფიცის ფურცელზე, რომელზედაც ხელი უნდა მოაწეროს აგრეთვე იმ მღვდელმა, რომელმაც დააფიცა მოწამე. ამ ფიცის ფურცელზე მომჩივან-მოპასუხემაც უნდა მოაწერონ, რომ იგინი დაესწრენ მოწმების დაფიცების დროს. თუ მომჩივანი და მოპასუხე არ ისურვებენ დასწრებას მოწმების დაფიცების დროს, ამაზე გამომძიებელმა უნდა შეადგინოს ჯეროვანი სიგელი.

დეკ. დ. დამბაშიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია.

ლეჩხუმი. ყველამ უწყის, თუ რა დიდი უთანხმოება გამოიწვია სამეგრელოის ეპარქიის სამღვდელო პირთა შორის მათი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლისათვის სამუდამო ადგილის ამორჩევამ. ადგილობით გაზეთებშიაც ბევრი რამე ითქვა ამ საგნის შესახებ. სასწავლებლის სამუდამო ბინად ზოგს მარტვილი მოსწონდა, ზოგს—ახალ-სენაკი და ზოგს ფოთი. ლეჩხუმ-სვანეთის სამღვდელოება კი წინააღმდეგი იყო ყველა ამ ადგილებისა, რადგან იქაურებს, სიშორისა გამო, არ შეეძლოთ თავიანთი შვილების ამ ადგილებში გაგზავნა, და ამიტომ ეს სამღვდელოება ითხოვდა, სადაც ჯერ არის ქუთაისის სასულიერო ოთხ კლასიან სასწავლებელში თავიანთი შვილების მიცემის ნებას. და როდესაც ეს არ მოხერხდა, მაშინ ამ სამღვდელოებამ მოითხოვა, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი მარტვილში მაინც გადაეტანათ. მაგრამ მთავრობამ საუმჯობესოდ დაინახა ამ სასწავლებლის სამუდამოდ ახალ-სენაკში დარჩენა. ამისთანა გარდაწყვეტილება ძალიან საძნელოდ დაურჩა ლეჩხუმ-სვანეთის სამღვდელოებას, რადგან მათთვის ყოვლად შეუძლებელია რვა-ცხრა წლის ბავშვების ახალ-სენაკში წაყვანა და შენახვა. კიდეც რომ შეიძლოს აქაურმა სამღვდელოებამ შვილების ახალ-სენაკში წაყვანა და შენახვა, ბავშვები მაინც ვერ აიტანენ იქაურს ნოტიო ჰავას, და ციებ-ცხელებით დაიხოცებიან. ეს არის მიზეზი, რომ დღეს ახალ-სენაკის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში ძალიან ნაკლებად არიან ჩვენებური სამღვდელოების შვილები. აქედამ ყველასათვის ცხადია, რომ ეს სასულიერო სასწავლებელი ჩვენი მხარის სამღვდელოებისათვის სრულიად უმნიშვნელო და უსარგებლოა, თუმცა სამღვდელოება მის შესანახავად ხარჯს კი იხდის.

ყოველივე ეს დაბრკოლება მიიღო სახეში ლეჩხუმ-სვანეთის სამღვდელოებამ და გარდასწყვიტა თვით ლეჩხუმშიდ საკუთარი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის დაარსება. ამ საქმის შესახებ შეიკრიბა ლეჩხუმ-სვანეთის სამღვდელოება და შემდეგ ჯეროვანის მოლაპარაკებისა ჟურნალით დაადგინა: „ეთხოვოს გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსს გრიგორის იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არის, რომ ჩვენს სამღვდელოებას ნება მიეცეს თავისი საკუთარის ხარჯით საკუთარი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის დაარსებისა ლეჩხუმშიდ“. ეს განაჩენი წარუდგინეს ყოვლად სამღვდელოს წარსული წლის დეკემბრის თვეშიდ. მათ მეუფებას სასიხარულოდ დაურჩა სამღვდელოების ასეთი დადგენილობა და აღუთქვა მათ დახმარება ამ ფრიად სასარგებლო საქმეში, უკეთუ უმაღლესი მთავრობა შესაძლოდ დაინახავს მათი თხოვნის აღსრულებას და მასთან სამღვდელოებაც თუ შეიძლებს საკუთარი სასწავლებლის შენახვას. ლეჩხუმ-სვანეთის სამღვდელოება კარგად ჰხედავს, რომ მათთვის ძნელი და მძიმე ტვირთია საკუთარი ოთხ-კლასიანი სასწავლებლის დაარსება და შენახვა, მაგრამ რა ჰქნას, როცა ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებელში შვილები ვერ წაუყვანიათ და შინ უსწავლელნი ურჩებათ. სამღვდელოებას უნდა გახსნას მარტო ნორმალური კლასები, რადგან იმედი აქვს, რომ მოსამზადებელი კლასების მაგიერობას გაუწევს მათ საეკკლესიო-სამრევლო და საერო სკოლები.

სამღვდელოებას უნდოდა შეეტყო, თუ რა დაუჯდებოდათ მათ საკუთარი სასწავლებლის შენახვა წელიწადში. ამ კითხვის განსამარტებლად სამღვდელოების ვექილები მიიქცნენ ყოვლად სამღვდელო გრიგორისთან. მათმა მეუფებამ ამ საგანზე მოსალაპარაკებლად მოიწვია ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ტატიშვილი და ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე უ. ალადოვი. ამათ ყოვლად სამღვდელოსთან ერთად გამოიანგარიშეს სასწავლებლის შესანახავად საჭირო ხარჯი და აღმოჩნდა, რომ ოთხ-კლასიან სასწავლებელს, ოთხი ნორმალური კლასით, სჭირდება წელიწადში 5,000 მანეთი, თუ ზედამხედველის და მისი თანაშემწის გარდა ყველა მასწავლებლები სემინარიელები იქნენ. ეს ხარჯი სიხარულით მიიღო თავის თავზე ლეჩხუმ-სვანეთის სამღვდელოებამ, და თუ ამ საქმეს ისე მხურვალედ მოეკიდენ, როგორც დღეს ეკიდებიან, მაშინ ადვილად შეუძლიათ მათ საკუთარი სახლიც აღაშენონ სასწავლებლისათვის. 5,000 მანეთიდგან თითო კრებულს წელიწადში მოუწევს გარდასახდელად 30—40 მანეთი, რომელიც ჩვენი სამღვდელოებისათვის ძნელი არ იქნება, რადგან დღეს ცოტა ოდენ ჯამაგირს ხაზინიდგანაც კი ვიღებთ. სამღვდელოება მზად არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მათ მთავრობისაგან ნება-რთვა მიიღეს საკუთარი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის გახსნისა ლეჩხუმში, გაიწერონ თითო კრებულზე 70—80 მ. წელიწადში. რაც შეეხება სასწავლებლისათვის სახლის აღშენებას, ესეც სამძიმოდ არ დაურჩება ჩვენს სამღვდელოებას, რადგან დღეს უკვე შეგროვილი აქვს და ბანკში შენახული 4,000 მ. ეს ფულები შესწირა სამღვდელოებამ სამეგრელოს სასწავლებლის სასარგებლოდ, თუ ეს სასწავლებელი მარტვილში დარჩებოდა. რაც დააკლდება ამ ფულებს, ის შეიძლება სხვა წყაროებიდგან შეავსოს სამღვდელოებამ. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ ხის მასალა ძალიან იაფია ჩვენში. თუ ნება მისცეს სამღვდელოებას სასწავლებლის გახსნისა, მაშინ სამღვდელოებას ჰსურს ერთბაშად შეიტანოს ბანკში სათავნოდ იმდენი ფული, რომ მისი სარგებელი საკმაო იქნეს ოთხ-კლასიანი ნორმალური სასწავლებლის შესანახავად და სამღვდელოება კი სამუდამოდ განთავისუფლდება ყოველივე ხარჯისაგან ამ სასწავლებლის შესანახავად. თუ ღმერთმა ინება და ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურობაც შეუერთდა ამ საქმეში სამღვდელოებას, მაშინ ამ უკანასკნელს ძალიან იოლად შეუძლია საკუთარი სასწავლებლის შენახვა.

ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ სამღვდელოებას კეთილად დაეგვირგვინებინოს ეს საქმე საკეთილ-დღეოდ ჩვენი ახალი თაობისა. იმედია, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობაც არ ეწინააღმდეგება სამღვდელოების ამ კანონიერს და ფრიად სასარგებლო თხოვნას.

ბლაღ. მღ. ნ. ფრუიძე.

## მღვდლის საიდუმლო.

(გაგრძელება*)

მთავრობამ მალე შენიშნა, რომ მ. იოანნეს მუშაობას დიდი სარგებლობა არ მოჰქონდა. იგი მიჩვეული იყო ოთახში ცხოვრებას და მადნებში მუშაობის დროს მუდამ ცივდებოდა. ამიტომ მთავრობა ძალიან ძვირად გზავნიდა მ. იოანნეს სამუშაოდ. თავისუფალს დროს მამა იოანნე მთელს დღეს ატარებდა საპატიმროში. მისი სხეული, მართალია, მოსვენებული იყო, მაგრამ მისი სული წარმოუდგენლად სწუხდა.

სულის მწუხარებისაგან ვერას გზით ვერ ინთავისუფლებდა თავს: მ. იოანნე მუდამ თვალ წინ იდგენდა წარსულს ცხოვრებას. ეს მოგონებანი მარტო სიზმარში არის ტკბილი, როცა კაცი ივიწყებს თავის აწმყო მდგომარეობას, — მაგრამ როცა მ. იოანნეს არ ეძინა, ეს მოგონებანი აწუხებდენ მას, რადგან სიფხიზლის დროს კაცი გრძნობს, რომ წარსული სამუდამოდ დაკარგულია მისთვის.

ძილის დროს მ. იოანნეს მუდამ ეზმანებოდა ხოლმე, რომ ვითომ იგი ასრულებს საეკკლესიო მსახურებათა. აი იგი სდგას ტრაპეზის წინ, აკმევს და განათებულია დილის მზის სხივებით, ხელში უკავია ღვთის ტარიგი, რომელსაც მ. იოანნე ეუბნება: „მე ვერ ვსცანი საიდუმლო შენი, და არ მიყვია შენთვის ამბორება იუდასი, — და შენ არ განმაგდებ მე?“ მაგრამ ამ დროს მ. იოანნე ნიშნავს უწესოებას: მთავარი ამბობს მასს, რაც რიგი არ არის. მგალობლებმა უნდა იგალობონ «შენდამი იხარებს მიმადლებულო», მაგრამ იგინი იცინიან. მ. იოანნე სასტიკის სახით უცქერის მათ და ეუბნება: «განა მე თქვენი მღვდელი არა ვარ?» — შენ რა ჩვენი მღვდელი ხარ? მიუგებენ მას, დაიხედე, რა გაქვს ფეხებზე? მ. იოანნე იხედება ფეხებზე და ხედავს, რომ მას ფეხებში ბორკილი აქვს მიცემული. იგი ილვიძებს. ცივი ოფლი ჩამოსდის მას პირის სახეზე და ამბობს: ღმერთო ჩემო! რაისათვის დამიტევე მე?» ამ სიტყვების დროს მისი გულიდამ მოისმოდა ხოლმე შემდეგი სასტიკი პასუხი: «განა ღმერთი მართლ-მსაჯული არ არის? ღმერთი არ განაგდებს მართალს, იგი განაგდებს პირმოთნეთა და ამპარტავანთა, რომელნიც ივიწყებენ თავიანთ უსჯულოებათა. მოიგონე: მღვდლობის მილების დროს განა შენ უცოდველი იყავი? როცა საკურთხეველს უახლოვდებოდი, განა შენ ღირსი იყავი მიახლოვებოდი ღმერთს? როცა ტრაპეზის წინ იდექი ხოლმე, ნუ თუ შენს თავზე არ გიფიქრია? როცა ღვთის წინაშე აღიპყრობდი ხელს და აფრქვევდი ცრემლს, განა ხან-დის-ხან არ სტკბებოდი იმ წარმოდგენით, რომ შენ გხედავდა ხალხი? უფალმა ვერ მოითმინა შენი თავ-მოყვარება და მედიდურება, მან განგიტევა მისათვის, რომ, როცა მას ემსახურებოდი და ასწავლიდი ხალხს, შენ ერთის მხრით სცდილობდი

*) იხ. «მწყემსი»-ს № 3.

გედიდება ღმერთი, ხოლო საიდუმლოდ სცდილობდი შენს დიდებაზე. მან განგიტევა შენ სამართლიანად, როგორც ფარგისი. და შენ კიდევ მცირედ დაისაჯე და არ გიგემებია მთლად ის სასმელი, რომელშიაც გაზავებულია შენთვის ღვთის წყრომა.

ქველა ამ აზრთა ტრიალში მოჰყავდა მამა იოანნე. იგი მიჯდებოდა ხოლმე საპატიმროს კუთხეში და ვერ ბედავდა მაცხოვრის ხატის შეხედვას, რომელიც საპატიმროში ეკიდა.

ეს მოგონებანი დიდს მწუხარებაში აგდებდენ მ. იოანნეს. ხან-დის-ხან მისი გულიდგან ისმოდა სუსტი, მაგრამ ტკბილი ხმა ნუგეშისა:

— დიახ, შენ არ იყავი წმიდა ღვთის წინაშე,— ეუბნებოდა მას ეს ხმა: მაგრამ ღვთის მადლი გწმენდა შენც: მხოლოდ ღვთის სიყვარულს შეეძლო გამხდარიყავი შენ მის მეგობრად. შეიძლება, შენი უბედურება არ იყოს ღვთის წყრომისაგან, როგორც უბედურებანი კაინისა, არამედ სიყვარულისაგან უფლისა, როგორც წამებანი იობისა. შეიძლება, უფალმა კვალად მოგივლინოს შენ ნათელი თავის პირისა და მოგანიჭოს შენ მისი მოწყალება».

მაგრამ ეს ნუგეშის ხმა იყო სუსტი, ხოლო სასტიკი ხმა განსჯისა ისმოდა მამა იოანნეში მტკიცედ.

ასე განვლო რამოდენიმე წელმა, ახლოვდებოდა კატორგის ვადაც, რომლის შემდეგ მ. იოანნე უნდა დარჩენილიყო საცხოვრებლად ციმბირში. მაგრამ ამავე დროს უახლოვდებოდა მამა იოანნეს სიკვდილიც.

მ. იოანნე ძალიან ავად გახდა. რამდენიმე დღის განმავლობაში მას ჰქონდა სიცხე და აბოდებდა. სიცხის დროს იგი ფიქრობდა, რომ ისევე მღვდელი იყო. მუდამ ხელში ეკავა უბრალო ხელსახოცი, რომელსაც თავის მკერდზე ხან შლიდა და ხან კეცდა,—და ლოცვილობდა: **ნუ განმაგდებ მე პირისაგან შენისა.** მის პირის სახეზე იხატება მწუხარება და ჩუმად ლაპარაკობს: „ხელახლად მოდიან, რომ ხელი შემიშალონ და დამცინონ“.

მართლაც საპატიმროს კარებში, რომელშიაც იწვა ავად-მყოფი, შემოვიდა ორი აფიცერი: საპატიმროს უფროსი და ადგილობითი ჯარის უფროსი; ამათთან ახლდათ ექიმიც.

ისინი მიუახლოვდენ იმ კრაოტს, რომელზედაც იწვა მ. იოანნე და ჩახედეს მის შეშფოთებულს და გაცეცხლებულს თვალებში.

შემდეგ აფიცრები მიუბრუნდენ ექიმს და სთხოვეს, რომ მას თავისი აზრი გამოეთქვა ავად-მყოფის მდგომარეობის შესახებ.

ექიმმა სთქვა, რომ ავადმყოფი ეხლა უგრძნობლად არის, საზოგადოდ მისი სნეულება ითხოვს დიდს ექიმობას, კარგს მოვლას და სრულს მოსვენებას. რაიმე მღელვარებას, კიდეც რომ სასიხარულოც იყოს იგი, შეუძლია საბოლაოდ გამოასალმოს იგი სიცოცხლეს.

ამ სიტყვების შემდეგ სამნივენი წავიდნენ.

ამ დღიდგან ექიმი ყოველ დღეს ნახულობდა ხოლმე მ. იოანნეს. მან ყოველივე ღონე იხმარა მღვდლის მოსარჩენად. ამ ექიმის წყალობით ავადმყოფი მოვიდა გრძნობაზე და დღითი დღე უმჯობესდებოდა.

— გამარჯობა! მამაო, მომილოცავს თქვენთვის მორჩენა. გამოტეხილი უნდა გითხრა, მ. იოანნევ, რომ მე თქვენი ძალიან მეშინოდა.—ასე ელაპარაკებოდა ექიმი ავად-მყოფს, რომლის მორჩენა ეხლა საიმედო იყო.

მ. იოანნემ მკაცრად შეხედა ექიმს თავისი ჩავარდნილი თვალებით და მოიფიქრა:

— როგორი მისი მღვდელი ვარ!, როგორი მ. იოანნე ვარ?

— მორჩით, მორჩით, მ. იოანნევ, ეუბნებოდა ექიმი. მართალია, მწუხარება გამოსცადეთ, მაგრამ ნაცვლად მოგენიჭებათ ბედნიერი ცხოვრება.

— რა ბედნიერება მომელის მე? და ან სიცოცხლე რაღა საჭიროა ჩემთვის? სთქვა ავად-მყოფმა, მაგრამ მაინც გაიღიმა.

— სასო წარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით, მამაო, იმედია, უფრო მხიარული იქნებით,—დაამთავრა ექიმმა სიტყვა და წავიდა.

— ეს რა მითხრა: მამაო მღვდელო, და მამაო იოანნევ! ერთხელ კიდევ იფიქრა ავად-მყოფმა, მაგრამ ბევრი ფიქრის თავი არა ჰქონდა და მალე ტკბილად დაიძინა.

ბოლოს მ. იოანნე სენისაგან მთლად განთავისუფლდა, და ღონეზე მოვიდა.

შემდეგ ამისა ერთ დღეს ხელახლად შევიდნენ საპატიმროში საპატიმროს უფროსი და ადგილობითი ჯარის უფროსი. და უთხრეს მ. იოანნეს, რომ ისინი მოვიდნენ, რათა გამოუცხადონ მას ბედის ცვლილე-

ბა და ამიტომ უნდა წაუკითხონ მას უქაზი, რომელიც მათ თან მოიტანეს.

შემდეგ მოისმა სასიხარულო კითხვა:

„მინაიდგან აღმოჩნდა, რომ მღვდელს იოანნეს, რომელიც დასჯილ იქმნა მკვლელობისათვის, ჩამოერთვა ყოველივე ღირსება და იმყოფება კატორგაში, არ ჩაუდენია არავითარიმე მკვლელობა, არამედ გამოუჩენია საქებური თავის განწირულება თავის სამღვდელო მსახურებაში, ამიტომ ნაცვლად ამ გასჯისა, რომელიც დაფუძნებული იქმნა სამწუხარო გაუგებლობაზე, დაუბრუნდეს ზემოდ აღნიშნულს მღვდელს ყოველივე უფლება, იქმნეს იგი განთავისუფლებულ, დაბრუნებულ და დასაჩუქრებულ".

უქაზის წაკითხვის შემდეგ წაკითხულ იქმნა ეპარქიალური მთავრობის მოწერილობაც, რომლის ძალით მ. იოანნეს უბრუნდებოდა მღვდელობა და ის ადგილი, სადაც იგი უწინ მსახურებდა.

ყოველივე ამას ისმენდა მ. იოანნე, მაგრამ არ სჯეროდა კი, ფიქრობდა, რომ მას კიდევ სიცხე ჰქონდა. შემდეგ მან მოიფიქრა, რომ მას კარგად არ გაეგება ის, რაც ესმის. როცა ყოველივე ეჭვი უადგილო იყო, მაშინ მხიარულობის და სამადლობელი ლოცვის ცრემლები წამოუვიდა მ. იოანნეს თვალებიდგან.

— Დიდება შენდა, ღმერთო! დიდება შენდა, ღმერთო! დიდება შენდა, ღმერთო! წამოიძახა მამა იოანნემ და მეტის მეტი სიხარულისაგან ძალა გამოლეული დაეშვა ქვეშსაგებზე.

Კატორგაში მყოფობის დროს მ. იოანნე ყოველ წლობით იღებდა წმ. საიდუმლოს, მაგრამ არა ისე, როგორც მღვდელი, არამედ როგორც ერის კაცი. ამისთანა ზიარება ისეთ სიამოვნებას ვერ ჰბადავდა მ. იოანნეს სულში, როგორსაც ის გრძნობდა თავის მღვდელ-მოქმედების დროს. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ ეხლა მ. იოანნე იღებდა წმ. საიდუმლოს სხვისგან, უწინ კი თვითონ ასრულებდა და აზიარებდა სხვებს;—მ. იოანნე გრძნობდა, რომ ქრისტეს სიყვარული რომლითაც იგი იყო აღრჩეულ და ამაღლებულ, იმდენად დამცირდა მასში, რომ მას, რასაკვირველია, არ შეეძლო დამტკბარიყო ქრისტეს სიყვარულით.

Როცა მ. იოანნემ გაიგო, რომ მას დაუბრუნეს თავისუფლება და მღვდელობის ხარისხი, მაშინვე მოინდომა საღმრთო ლიტურგიის შესრულება.

„ნეტავი ნებას არ მომცემენ, რომ ხვალ ვსწირო საპატიმროს ეკკლესიაში?" ეკითხებოდა თავის თავს მ. იოანნე.

Აწ კითხვების პასუხიც მალე შეიტყო მ. იოანნემ. თხოვნისათანავე მას ყოველივე ამაების ნება მისცეს. ყველანი სცდილობდენ, რომ მ. იოანნესათვის ესიამოვნებიათ, ყველანი პატივსა სცემდენ, ყველანი თანაუგრძნობდენ მას, რომ იგი უმართლოდ იყო დასჯილი.

Მეორე დღეს მ. იოანნემ შეასრულა საღმრთო ლიტურგია საპატიმროს ეკკლესიაში, რომელიც ამ შემთხვევისა გამო სავსე იყო მლოცველებით.

Ძნელად გამოხატავს კაცი მ. იოანნეს სულის მდგომარეობას ამ მსახურების დროს. მას თვალებიდამ განუწყვეტლად სდიოდა ცრემლები. მაგრამ მისი გული აღვსილი იყო ცხოველ-მყოფელი სიხარულით, როგორც მზის სხივით.

Როცა მ. იოანნე ამ ნეტარ დროს აღარებდა უწინდელს წვალებას, იგი არა ერთ გზის ეკითხებოდა თავის თავს განკვირვებით: «განა ეს მე ვარ? შეიძლება სიზმარში მღვდელ-მოქმედებდე?»

Ცოტა ხნის შემდეგ მ. იოანნე დაბრუნდა კატორგიდამ; იგი გამოემგზავრა თავის საყვარელ სამშობლოსკენ, სადაც მან ბედნიერად გაატარა თავის სიცოცხლის ნახევარი დრო. ერთ სადგურზე მატარებლის შეჩერების დროს ვაგონებში ჩაქოიარა ერთმა მაღალმა ახალგაზდამ, რომელსაც თავზე ეხურა სასულიერო სემინარიის მოწაფის ქუდი. ახალგაზდას ეტყობოდა, რომ ვიღაცას ეძებდა, მაგრამ ვერ ნახულობდა. ბოლოს გაბედა და ხმა მაღლა იკითხა: ამ მატარებლით მ. იოანნე ხომ არ მოდის?

— რა გნებავსთ? მე ვარ მ. იოანნე, მიუგო ახალგაზდას მღვდელმა.

Ამ სიტყვების შემდეგ წამოდგა მღვდელი სკამიდგან, რომელზედაც იჯდა. ახალგაზდამ დაინახა თავის წინ მოხუცებული კაცი, რომლის ტანისამოსი უფრო პატიმრის ტანსაცმელს ჰგავდა, ვინემ მღვდლისას. მოხუცებულს ჰქონდა გრძელი და სრულიად გათეთრებული წვერი და თმა. ახალგაზდა ყმაწვილი მივარდა მღვდელს შემდეგი სიტყვებით:

— მამაო, მე თქვენი შვილი ვარ!..

Და დაუწყო კოცნა ხელზე და შემდეგ მიეკრა გულზე მამას და სიხარულისაგან ცრემლები მოუვიდა თვალებში.

— დედა და ძმა, — თქვენი მეორე შვილი აქ არიან: ჩვენ შენს შემოსაგებებლად წამოვედით. შემდეგ ყმაწვილი ცოტათი დამშვიდდა და შესცქეროდა მამას პირის სახეზე.

დიდი სიხარული გამოსცადა მ. იოანნემ ამ დროს. მისი მეუღლე ისეთივე პატიოსანი და მოსიყვარულე დახვდა, როგორც წინედ. თუმცა მისი სიმშვენიერე გამქრალიყო მოხუცებულობისა გამო და იმ წვალებით, რომელიც მას მიაყენა ქმრის მოშორებამ, მაგრამ ქმრის დანახვის შემდეგ მისი სული ამაღლდა და კიდევ უფრო ლამაზი შეიქნა.

მ. იოანნეს შვილები შესანიშნავნი იყვნენ როგორც ნიჭით, ისე ზნეობით.

დანიშნულს დღეს მთელი სამაზრო ქალაქის მკვიდრნი გამოვიდნენ მ. იოანნეს შესაგებებლად. შეგებების შემდეგ ყველანი სიყვარულით და პატივის ცემით შეჰყვნენ მ. იოანნეს იმ ტაძარში, სადაც ის უწინ მსახურებდა.

მ. იოანნე შედგა ეკკლესიის კარებზე და, სანატრელი გრძნობით აღესილმა, წარმოსთქვა: ვითარ შევიწყალე მე ქვეყანა შენი, უფალო ღმერთო!

## მთა წმიდის ტაძარი თბილისში.

ქართლის მეფეების სატახტო ქალაქს თბილისში, რომელიც 455 წელში ქრისტეს დაბადებამდე დაარსა ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლანმა, ბევრი ტაძრები, მონასტრები და ადგილებია, რომელნიც შესანიშნავნი არიან როგორც თავიანთი წმიდანებით, ისე ისტორიის და არქეოლოგიის მხრით შესანიშნავი ძველი ნაშთებით.

ამ ღირს შესანიშნავ ადგილთა რიცხვს ეკუთვნის, ევრეთ წოდებული, «მთა წმიდა» დავითისა. ეს მთა მდებარეობს ქალაქიდამ დასავლეთით. ამ მთას ეწოდა სახელი „მთა წმიდა“ მეექვსე საუკუნეში. ამ მთის ძირზე აღშენებულია მშვენიერი ტაძარი წმიდა დავით გარეჯელის სახელზე. ეს ტაძარი უწინ ძალიან პატარა იყო, მაგრამ შემდეგ გაკეთებულ და გადიდებულ იქმნა. ამ ტაძრიდამ ხელის გულივით დასჩერებია კაცი როგორც მთელს ქალაქს, ისე გარეჯის მთას, რომელიც აირჩიეს საცხოვრებელ ადგილად წმ. მამებმა და მათ რიცხვში წმ. დავითმა. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მოსჩანს სავანე წმ. ანტონ მარტყოფელისა და კავკასიის მთები, რომელნიც მუდამ დაფარული არიან თოვლით.

სადაც დღეს წმ. დავითის ტაძარია, იქ უწინ იყო და დღესაც არის პატარა გამოქვაბული, რომელშიაც სცხოვრებდა განდეგილი წმიდა დავითი. „მთა წმიდა“ უწინ დაფარული იყო დიდი ტყით და მასზე არავინ არ ცხოვრებდა. წმ. დავითის სავანე მიუვალი ადგილი იყო მტერთათვის და ამიტომ მტრების თავ-დასხმის, ანუ რაიმე განხეთქილების დროს ქალაქ თბილისის და მისი მახლობელი ადგილების მკვიდრნი თავს იფარავდნენ ხოლმე ამ სავანეში. მაგ. 1795 წელში, როცა თბილისი აღაოხრა მაჰმად-ხანმა, თბილისის მცხოვრებნი რიცხვით 50 კაცი, რომელთაც ქალაქიდამ ვერ გაასწრეს, თავი შეაფარეს წმ. დავითის სავანეში და ამ სახით გადარჩნენ სპარსელთა დატყვევებისა და მახვილისაგან. თუმცა სპარსელები თუთხმეტი დღის განმავლობაში ანგრევდნენ და სწვავდნენ თბილისს, მაგრამ, ისინი ღვთის განგებით, არც ერთხელ არ ასულან ამ მთაზე, რომელსაც ამშვენებდა ძველი დროის მონასტერი.

ამ წმიდა ადგილს, როგორც მოგვითხრობს საქართველოს ისტორია, დიდს პატივსა სცემდნენ ქართლის მეფეები და მწუხარების დროს ამ ადგილას ჰპოებდნენ ხოლმე თავის შესაფარს. აი მაგალითებიც: 1) საქართველოს მეფე ირაკლი მეორე თავის ძის სოლომონის სიკვდილის შემდეგ დროებით შევიდა წმ. დავითის მონასტერში საცხოვრებლად. ამ მონასტრიდამ მეფე სცემდა კანონებს და, მართავდა ხალხს. 2) ქართლის მეფე დავითი (1505—1624), ძე კონსტანტინე მეფისა, დამწუხარებული იმით, რომ მისი სამეფო აოხრებულ იქმნა შინაგანი ამბოხებისა და შაჰ-იზმაილის თავდასხმისაგან, რომელმაც დაიპყრო თბილისი და დაანგრია ტაძრები, თავისი ტახტი გადასცა თავის ძეს გიორგი XI, და თვითონ კი კათალიკოსის პატრიარქ დოსითეოსის ლოცვა-კურთხევის შემდეგ ბერად აღიკვეცა და შევიდა საცხოვრებლად წმ. დავითის მონასტერში. იგი გარდაიცვალა ამ მონასტერში და დასაფლავებულ იქმნა ფერისცვალების ეკკლესიაში. ამ ტაძრის გაწმენდის დროს 1—10 წელში იქ ნახეს სასაფლაო ამ მეფისა, რომლის ძვლები შეხვეულნი იყვნენ უბრალო ჭილოფში, როგორც ამას იტყობს ბერული მორჩილება. 3) გიორგი XIII-ს,

საქართველოს უკანასკნელ მეფეს ჩვეულებად ჰქონდა ამ ძველი ტაძრის ნანგრევების დახედვა წმ. დავითის დღესასწაულის დღეს, და რადგან ამ ტაძარში არ სრულდებოდა ღვთის-მსახურება, მეფე კმაყოფილდებოდა მარტო სამადლობელი პარაკლისის გადახდით. გიორგი XIII-ს ჰსურდა ამ ტაძრის განახლება, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა მას ამ მშვენიერი აზრის სისრულეში მოყვანა.

ეს ადგილი ძალიან უყვარდა მათ იმპერატორებითი უდიდებულესობას კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფს, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. მათი უდიდებულესობა ყოველთვის ამ ტაძარში დაბძანდებოდა თავისი სახლობით საზიარებლად და მუდამ აქ ისმენდა ხოლმე პარაკლისს თავის საყვარელი სულიერი მამის იოსებ გრიგორიევისაგან.

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება *).

### წილკნისა.

1736 წ. ნებითა და შეწევნითა მღთისა ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცილებელი საბოლოოდ გამოსადეგი წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონმა მეფეთ მეფემა პატრონმა ქართლისა და კახეთისა ხელმწიფემ მეფე ალექსანდრემ თქვენ მუხარანის ბატონის შვილს ქრისტეფორესა ასე რომე მიხველ კარსა დარბაზიზაისა ჩვენსასა გვიაჯენით მაგალისის მაგლელობა ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება შეგიწყალეთ და გიბოძეთ აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგანა და არა შემდეგთა მეფეთა მეპატრონეთაგან ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულობაში სამსახურშიგან გიბძანებ კარისა ჩვენ ვეზირ ვექილნო და ვინცავინ კარისა ჩვენი მოხელენი იყვნეთ ეს ბძანება და ნიშანი ესე სიგელი თქვენც ასე დაუმტკიცეთ ნუ მოუშლით დაიწერა ბძანება და ნიშანი ხელთა კარისა ჩვენის მწიგნობარი მდივანი მუშარიბი ბაინდურას შვილი ავთანდილისითა დაიწერა მარტის 20 ქორონიკონს 424 (ბეჭედი) (წილკნისა).

### წილკანი.

1747. ჩვენ ფოცხვერმა და შვილმან ჩვენმან მამუკამ და გივმა ესე მეჩალგის წიგნი მოგართვით თქვენ ჩვენს ბატონს არაგვის ერისთავს ჯიმშერს რომ ჩვენის მართლმადიდებლის ხემწიფე მეფის ბატონის მეფის ერეკლესაგან ბძანება გქონდათ და ჩვენი მაკურთხეველი წილკნელი მამიყვანეთ, რაც მთიულეთში სახუცო იყოს სამს წელიწადში ერთი ძროხა მოგართათ თუ ამას იქით ჩვენ.. უზიარებელი და უნათლულო მოკკლათ საკანონო მოგართვათ, თუ სამწყთომ უარი გვიყოს, სამართალი თქვენ გვიყოთ (?)... მე ჯიმშერ ერისთავს ასე გამირიგებია: რამთენი ღვდელი იყოს იმთენი ძროხა მოგართოს ქრისტეს შორის. ქორონიკონს ულე. [1])

### წილკანი.

1792 ქ. ბატონიშვილი გასტანგი გიბძანებ ბოქაულთხუცესო ბექან. მერე ყოვლად სამღვდელოს უფალს წირკნელისათვი ქაისხეველთ დრამა სახუცო და რაც საეპისკოპოზო სამსახური არის უნდა მიერთმევინათ ჩვენი ოქმიც ჰქონდათ და კიდევ დაუგვიანებიათ და არ მოუციათ. ახლავ უნდა დადგე და როგორც რიგი არის დრამა სახუცო და საეპისკოპოზო რაც იყოს უკლებრივ უნდა მოაცემინო მაგათი ეპისკოპოზი ეს არის და მას უნდა. რაც რიგია მსახურონ და დაემორჩილნენ და ეკლესიებიც აკურ-

*) იხ. «მწყემსი» № 3 1891 წ.

შენიშვნა. დ. ფურცელაძეს მოჰყავს შინაარსი ამ გუჯრისა.

[1]) ეს გუჯარი ასურათებს იმ მდგომარეობას ქრისტიანობისას, რომელსაც წარმოადგენს ახლაც მთებში მცხოვრებელი საზოგადოება. მთავრობა ჯარიმის შიშით ეტყობა, ცდილობდა დაემყარებინა ქრისტეს რჯული მთიულებში. ამ გვარი გუჯრები წილკნელისა კიდევ გვხდებიან. დ. ფურცელაძე თარიღი უჩის 1749 წ.

თხებინონ ეს ახლავ ბეჯითად უნდა გაარიგოთო, ჩვენი საწყენი იქნება. ნოემბრის ა [2]) ქორონიკონს (უპ 1792) ქრისტიანე არ იქნება უეფისკოპოზო და მაგათ ხომ ამის მეტი ეპისკოპოზი არა ჰყავთ და ამას უნდა ემსახურონ ხომ თავსაც დაიდეს და თავლებიც მისცეს თუ ხუცესი თუ მაგათი ამხანაკი თუ სხვა სოფლები ემსახურებიან, ეგენი რაღა არიან (ბეჭედი)

### წიდჳნისა.

1881. ჩვენ ღვთივ აღმატებულმან ღვთივ დამყარებულმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატიონმან ძემან ცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან და კახეთის არაგვის მპყრობელ მქონებელმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან ჰერეკლემ თანამეცხედრემან ჩვენმან ქრისტეს მოყვარემან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ და პირმშომან სასურველმან ძემან ჩვენმან—სულმან ვახტანგ და საყვარელმან ბიძაშვილმან ჩვენმან ბატონიშვილმან ასანმირზამ ასე და ამ პირსა ზედან რომე ჟამთა ვითარებისაგან ანანურს ჩვენ არაგვის ერისთავს მთის ადგილებში აღარ შეეშვათ (წირკნელი) და რჯულზედაც მადრეკილიევნენ და მობძანდით თქვენ მუხრანის ბატონიშვილი ყოვლად სამღვდელო წირკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე, დაგაყენეთ). სამწყსოსა თქვენსა, ვითარცა ძველთაგან თქვენი ყოფილიყო და გუჯარშიაც ძველთაგან მთა და ბარი თქვენი სამწყსო ყოფილიყო და ჩვენც ხელახლა წყალობა გიყავით თქვენი სამწყსო მთიულეთი კიდევ გუდა მაყარი, ხანდო ჰერთალი ამათ სახუცოს ერისთავები იღებდნენ დიდი უწესო და უპართებულო იყო და რჯულის ურიგობა. ჩვენ ახლა თქვენის მონასტრის წილკნის ღთის მშობლისა დიდისა ეკკლესიისა მკდომარეს წილკნელს შევეწირავს რაც რომე მთისა ადგილებიდამ სახუცო გამოვიდოდეს თქვენს მამათმთავარს მიებარებოდეს და მამათ მთავარი თქვენ მოგართმევდეს არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა მეპატრონეთაგან აწე მიბრძანეთ კარისა ჩვენისა ვექილ ვექილნი და ყოველნი მესაქმენი ჩვენნი არაგვის სახლთხუცეს და მოხელენო თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა სიგელი ესე ხელითა კარისა ჩვენის მდივან მწიგნობართ უხუცესისა ოთარისათა თვისა ივნისსა ლ (30) ქორონიკონს ულდ (ბეჭედი), (ერეკლე) გვერდით: ჩვენ ქართლისა კახეთისა და სრულიად საქართველოჲსა კათოლიკოს პატრიარხი და ალავერდელი მიტროპოლიტი ძე სანატრელისა ხელმწიფე მეფისა ირაკლი მეორისა ანტონი ვამტკიცებთ მიტროპოლიტობისა ამის წერილსა აპრილის 3, წელსა ჩყა 1801.

**კათოლიკოზი ანტონ.**

### შიო მღვიმისა.

XVII ს. [1]) . . . . . . პნ ამათითა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომელობითა და თანაშემწეობითა ესე აგარაკისა შეწირულობისა მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ ნებისთა ღვთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატონიანმან აფხაზთა რანთა კახთა სომეხთა შარვანშა და შირვანშისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და საქართველოსა თვით მპყრობელ-მფლობელმან მეფეთ მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან თამარ და ძეთა ჩვენთა პატრონმან ლუარსაბ და პატრონმან დავით შენ მცველმფარველო და დიდო ხელისა მპყრობელო ჩვენო მამაო მამათაო წმინდაო შიო რომელი ეგე აღმობრწყინდი ვითარცა მთიები შუა მდინარით ასურეთისა და მოიწიე ქვეყანასა ამას ჩვენსა და არა ეცა ხორცთა შენთა განსასვენებელი არამედ ეძიებდა ადგილთა ფიცხელთა და განუსვენებელთა და დაემკვიდრე უდაბნოსა ამას მღვიმისასა და დიდთა მათ მოღვაწებათა შენთა მიერ მრავალნი სასწაულნი აღას·

---

[2]) დ. ფურცელაძეს არა აქვს დაბეჭდილი ეს გუჯარი.
**შენიშვნა.** აქ ც—რჯულზედაც მადრეკილიებისა შესახებ არაის **დაწერილი** ეს გუჯარი. დ. ფურცელაძეს არ დაუბეჭდია.

[1]) თავი აკლია. დ. ფურცელაძეს გუჯრებში ეს გუჯარი ვერ ვნახე.

რულენ ვიდრე ხორცთა ლა შინა იყავ და შემდგომათა მიცვალებისაცა დიდთა სასწაულთა მოქმედებ წლითი წლად ნაწილთა შენთა აღმოცენებითა სოროთა მაგით სამარხოსათ თითოეულსა ასაოთა შენთაგანსა წარმოგვცემ შენდა სადიდებელადა და ჩვენდა შევრდომით და ამბორის ყოფით სავედრებელად და ნუგეშინის საცემლად. ხოლო ჩვენ ვიგულეთ და გულს მოდგინეთ და გამოძიება ვყავთ და პირველითგანცა თქვენი ყოფილიყო ჟამთა ვითარებისაგან თქვენსა უდაბნოსა აღარა ჰქონებოდა და მრავალნი ჟამნი გარდასრულიყვნეს და ჩვენ სასოებით და სიყვარულით მინდობილმან ცვა ფარვათა თქვენთამან აღგუძრნა სურვილი მცირისა ამის ზღვნისა შემოწირვად გკადრეთ მოგახსენეთ ოკამიმეშველაანი მათის სამართლიანითა მთითა, ბარითა, ველითა, ვენახთა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა და უხნავითა სათიბრითა და უთიბრითა ყოვლითურთ უნაკლულოდ და უკლებლად და ყოვლის ადამის მონათესავისაგან მოუდევარ შემოუსარჩლელად ასრე და ამა წესითა ვინგინდავინ მღვიმის წინამძღვარნი იყვნეთ ყველიერის შაბათსა ჩვენთვის ჟამსა სწირავდენ სამით მღვდლითა და ერთის მთავარდიაკვნით თორმეტსა კოკას ღვინოს დახარჯავდეს, ერთს კაბიწს პურსა, ოთხს ორაგულსა, ოცსა ლიტრა ფიცხულსა მისის საურწყოოთა და რაცა სანთელი და საკმელი მოუნდებოდეს და რაცა მონასტრის წესი იყოს იმ რიგად კარაგა ლებული ალაპი გარდაიხდებოდეს და არავისგან არ მოგვეშალოს შეწირე მცირე ესე ზღვენი ოკამ სოფელი მეშუელანი მათის სამართლიანითა ყოვლითურთ უკლებლად და ხელ შეუშალად მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად და ჩვენთა ცოდვათა მოსატევებელად და ძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ ცე წმინდაო მამაო შიო გევედრები გვცევდ გვფარევდე ხელი აღგვიპყარ და შეგვეწიე და გვიხსნენ ყოველთავე ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და ესრე სახედ შემოგწირეთ ვითარმედ საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა არა ლალა არა კულუხი არა საბალახე არა კოდის პური არა ულაყი არა საჯინიბო არა მეორემაეთაგან და ვინგინდავინ კარით ჩვენით წარვლენილი მოსაქმენი იყვნეთ არავისგან არა ეთხოებოდეს რა თვინიერ ლაშქარ ნადირობისაგან და სათათროსა საურისაგან ვიდე ესე ვითარის შეწირულობითა წიგნითა და სიგელითა ამით გკადრეთ მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ აწე ვინცა ნახოს სიგელი და ბრძანება ესე ჩვენი შემდგომად ჩვენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა სახლისა ჩვენისა განმგეთა ვეზირთა დივანთა მწიგნობართა და ყოველთავე კარით ჩვენით წარვლენილთა მოსაქმეთა და საქმით მოქმედთა დიდთა და მცირეთა ერთობილთა დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას ჩვენსა თვინიერ სიმტკიცისა და თანადგომისაგან ვიდე და ვინცა ამა ჩვენგან შეწირულსა ოკამს მეშუელაანთა მაცილობელნი ვინმე იყვნეთ ანუ სიგელი ვქონდეს სიგლითა ამი გაგვიცუდებია და მტკიცე ოდენ ესე არს აწე ვინცა და რამანცა გვარმან კაცმან მეფემან ანუ დედოფალმან კათალიკოზმან ანუ სხვათა ეპისკოპოზთაგანმან გინათუ ქორეპისკოპოზმან ანუ სამღვდელოთა დასთაგანმან ანუ თუ თავადმან დიდებულმან აზნაურმან და მსოფლიოთა კაცთაგანმან გინათუ სჯულის გარდამავალმან სარკინოზმან ანუ მწვალებელმან ცასა ქვეშე მყოფმან ძემან კაცთამან ხელყოს შლად ქცევად და შეცვლად შეწირულისა ამის ჩვენისა შერისხდი შენა, ღმერთო დაუსაბამო მამაო ძეო და სულო წმინდაო და შენ უმეტესად ზეშთა.

---

შენ. ვგონებ აქ მოხსენებული მეფე გიორგი უნდა იყვეს გიორგი მეთერთმეტე წოდ. გურგენ ხანად (შაჰნავაზიდ). ცოლი მისი თამარის † 1683. მაშასადამე ეს გუჯარი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკ. დასაწყისს. («ქართ. ცხ.») გვ. 56 და შემდ.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

ამ თთვის 12, დილის ათ საათზე ახალი ათონის სიმონ-კანანელის მონასტერში გარდაიცვალა სუხუმის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. მათი მეუფება მივიდა ამ მონასტერში 9 თებერვალს მონასტრის ზოგიერთ ძმათა მღვდელ-მონაზვნად ხელ-დასასხამად, მაგრამ აქ მათი მეუფება უეცრად ავად-გახდა და მესამე დღეს გარდაიცვალა გულის დამბლით. მათი მეუფება დასაფლავებულ იქმნა სუხუმის საკრებულო ტაძარში.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე (ერის კაცობაში ივანე ანდრიას ძე ხ ო ვ ა ნ ს კ ი) იყო შვილი სარატოვის ეპარქიის ერთი მთავარ-დიაკვნისა. მან სწავლა შეასრულა ყაზანის სასულიერო აკადემიაში ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხით 1850 წელში. კურსის გათავების შემდეგ იგი დანიშნეს ლოღიკის და ფსიხოლოგიის მასწავლებლად სარატოვის სასულიერო სემინარიაში. მაგრამ მალე დაქვრივდა და ბერად აღიკვეცა. განსვენებული სხვა და სხვა სემინარიებში ასრულებდა ინსპექტორის და რექტორის თანამდებობათა. ბოლო დროს განსვენებული დაინიშნა ვლადიმირო-ვოლინის მონასტრის წინამძღვრად, ხოლო 1889 წელში, მაისის თთვეში იგი დაინიშნა სუხუმის ეპისკოპოსად. განსვენებული ძალიან სწუხდა, რომ მან არ იცოდა ენა, ზნე და ჩვეულებანი თავის ეპარქიის მკვიდრთა და მასთან აფხაზეთის ჰავაც ძალიან ცუდად მოქმედებდა მასზე. ამის გამო განსვენებულს ჰსურდა, რომ რუსეთშივე გადასულიყო სამსახურში.

* *
*

სოფლის კოცხელის სკოლის მასწავლებელი კალისტრატე კობახიძე გვწერს:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო მღვდ. ნიკოლოზ დიმიტრის ძეს თოლორაიას, რომელმაც მუქთად დაუთმო ჩემდამო რწმუნებულ სკოლას ერთი ქცევა ადგილი».

***

სუჯუნის მაცხოვრის ეკკლესიის კრებული და სამწყსო გულითად მადლობას სწირვენ აძავე, სოფლის მცხოვრებს აზ. სიმონ იესეს ძეს საბაშვილს, რომელსაც ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის შეუწირავს ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა ოქროთი დაფერილნი და ერთი სასაკმეველე, ღირებულნი სამოც მანეთამდე.

* *
*

ტყუილია გაზეთ «Нов. Обоз.»-ში დაბეჭდილი ცნობები, ვითომც აფხაზეთის ეპარქიის მღვდელ-მთავრად დაენიშნოსთ ალავერდის ეპისკოპოზი ყოვლად სამღვდელო ბესარიონი და ან საეკკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმე ისევ თბილისში იწყებოდეს. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ აფხაზეთის ეპარქიის მმართველა დროებით მიანდვეს გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსს, რუსის ეპისკოპოზის დანიშვნამდის.

*
* *

ბაენათის მონასტრის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელ-მონაზონი ამბერკი გულითად მადლობას სწირავს ქალაქ თბილისში მცხოვრებს უ. გიორგი იორამოვს, რომელსაც შეუწირავს ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის ორი ფილონი, ერთი სტიხარი და ერთი სარტყელი თავის მოწყობილობით, ღირებულნი არა ნაკლებ 60 მანეთისა.

***

სინოდის გამოცემის «Церковныя Вѣдомости»-ს უკანასკნელ №-ში ჩვენ ვკითხულობთ ერთს დიდმნიშვნელოვან უკაზს. ამ უკაზის ძალით განმეორებით აუწყებენ მღვდელ-მთავრებს, რომ მათ მიიღონ ყოველივე ზომა დაცვისათვის ძველ შესანიშნავ ნაშთთა ეკკლესიებში და მონასტრებში.

მოგვყავს აქვე ეს უკაზი.

«სასულიერო უწყებაში არსებულ დადგენილობათა ძალით მონასტრებში და ტაძრებში დაცულ ძველ ნაშთთა შესახებ ითხოვება: 1) არავის არსად ნება არ მიეცეს, რომ ტაძრებში და მონასტრებში ძველი ნაშთები შეაკეთონ, ან გადააკეთონ, თუ ამის შესახებ ნება-რთვა არ იქნა გამოთხოვნილი უწმიდესი სინოდისაგან, შემდეგ მონასტრის და ტაძრის მახლობელ არქეოლოგიურ ანუ ისტორიული საზოგადოების დაკითხვისა (წეს. სასულ. კონსისტორიისა მუხ. 50); 2) ყველა მონასტრებში და ტაძრებში უნდა იქნეს სიები, რომლებშიაც ვრცლად, სინამდვილით და სიმართლით უნდა იქმნეს ჩაწერილი ტაძრის შინაგანი საკუთრება, მათი სალაროებისა და წიგნთ-საცავებისა. ამ სიებშივე უნდა იყოს მოხსენებული, თუ რა ხელნაწერები, სიგელები, ძველი ოქმები და სხვა საბუ-

თები იმექონებიან მონასტერში და ტაძარში; აგრეთვე სიებში უნდა იქნეს ჩაწერილი ყველა საგნები, რომლებიც თუმც არ ეკუთვნიან ღვთის მსახურებით საგნებს, მაგრამ მნიშვნელობა აქვსთ ისტორიისა და არქეოლოგიისათვის, მაგალითად: სხვა და სხვა გვარი ხელსამწყონი, საომარი იარაღები, ძველი ფული, ძველი ჭურჭლები და სახლის ავეჯეულობა, რომელნიც იხმარებიან ოჯახში, სურათები, პარტრეტები, სახლის მორთულობა, და სხვა საგნები და 3) არავითარი ნივთი და წიგნი, რომელიც ჩაწერილია სიაში, არავის უნდა მიეცეს მონასტრების და ტაძრების სალაროებიდგან და წიგნთ-საცავებიდგან ნება-დაურთველად უწმ. სინოდისა, ანუ ეპარქიის მღვდელმთავრისა, და ბლაღოჩინები ეკკლესიების დახედვის დროს ვალდებულნი არიან მკაცრი ყურადღება მიაქციონ, რომ ყველა ეს ნივთები და წიგნები დაცულნი იქმნენ რიგიანად, მათ უნდა შეამოწმონ ნივთები სიებთან და თავიანთი დახედვის შედეგს უნდა მოახსენებდენ მთავრობას (უმაღლესად დამტკიცებული 11 აპრილს 1853 წ. დადგენილობა უწმ. სინოდისა, რომელიც გამოცხადებული იყო სასულიერო უწყების საყურადღებოდ უწმ. სინოდის ცირკულიარული უქაზით 31 მაისიდგან 1853 წლისა). გარეშე ამისა უწმიდესმა სინოდმა ამ ბოლო დროს აუცილებელ წესად დაადგინა, რომ თუ რაიმე სასარგებლო ან საჭირო და შესაძლეაელი იქმნება მონასტრების და ტაძრებისადმი კუთვნილი ძველი ნაშთების გადაცემა სასულიერო უწყებაში არსებულ ძველ ნაშთთა დასაცველებში, ამის შესახებაც იქნეს გამოთხოვნილი ნება-რთვა უწმ. სინოდისაგან, მაგრამ პირველად თანხმობა უნდა მოითხოვონ მონასტრების წინამძღვრებისა და ძმათაგან, აგრეთვე ტაძრის კრებულისა და სამრევლოსაგან (უქაზი უწმ. სინოდისა საქართველოს ექსარხოსის სახელობაზე 24 იანვრიდგან 1889 წ. № 310). მაგრამ ამას წინედ უწმიდესმა სინოდმა მიიღო ცნობა, რომლისგან სჩანს, რომ ზოგიერთი მონასტრების და ტაძრების წინამძღვრები არღვევენ ზემოდ აღნიშნულ დადგენილობათა ძველ ნაშთთა დაცვის შესახებ, რომელნიც ინახებიან მონასტრებში და ტაძრებში, და შემთხვევაც ყოფილა, რომ ასეთი ნივთები გადაუციათ კერძო პირთათვის. ამიტომ უწმიდესი სინოდი ადგენს: ეუწყოს სასულიერო უწყებას ცირკულიალური მიწერილობით, რომ შემდეგი დროისათვის არ იქმნეს დარღვეული დადგენილობანი მონასტრებში და ტაძრებში დაცულ ძველ ნაშთთა შესახებ და თუ რაიმე სასარგებლო იქნება და მასთან შესაძლებელი მონასტრების და ტაძრებისადმი კუთვნილი ძველ ნაშთთა სასულიერო უწყებაში არსებულ მუზეუმებში გადაცემა, ამისთვისაც გამოთხოვნილ უნდა იქნეს ნება-რთვა უწმიდესი სინოდისა, მაგრამ უპირველეს საჭიროა თანხმობა მიიღონ ამ ძველ ნაშთთა გადაცემის შესახებ მონასტრის წინამძღვრის და ძმათაგან და აგრეთვე ეკკლესიების კრებულთა და სამრევლოთაგან. ეს უქაზი დაბეჭდილ იქმნეს «საეკკლესიო უწყებებში».

*

* *

ამას წინედ «საეკკლესიო უწყებაში» სწერდენ, რომ გაზეთებისაგან ყველა გამოცხადებულ ამბებს ნუ დაიჯერებთო. მართლაც ზოგიერთი გაზეთები ხშირად ნამეტან ტყუილ ამბებს აცხადებენ და ამითი ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობას ამცირებენ.

ამას წინედ გაზეთ «ივერია»-ში და „Нов. Об.“-ში წავიკითხეთ, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის შუამდგომლობით ხაზინიდგან დაენიშნათ იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიებს სამაგალითო სამრევლო სკოლების გასახსნელად და შესანახავად ყოველ წლობით 2400 მანეთიო. ეხლა ზოგიერთი მასწავლებლები გვეკითხებიან შევატყობინოთ მათ, თუ საიდგან უნდა მიიღონ მათ ეს ფულები.

ჩვენ ჩვენის მხრით ვაცნობებთ ყველა ამ პირთ, რომ ზემოთ აღნიშნული ამბები სრულიად ტყუილია. აი საქმე როგორ იყო: 1889 წელში საქართველოში მოვიდა სინოდიდგან წევრი—რევიზორი სამრევლო სკოლებისა ბ. შემიაკინი. მან წინადადება მისცა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების რჩევას, რომ მან მოითხოვოს ადგილობითი საერო მთავრობისაგან ნიადაგი შემწეობა საერო სამამულო ბეგრისაგან, რომელიც ჩვენში დაწესდა ამ ორიოსამი წლის წინად მთავარ-მმართებელმა ადგილობითი გუბერნატორების თანხმობით და საქართველოს ექსარხოსის პალლადის შუამდგომლობით მოთხოვნილი შემწეობა შეიტანა ხარჯთა აღრიცხვაში (СМѢТА). ეს ხარჯთა აღრიცხვა დღეს წარგდენილია სახელმწიფო რჩევაში და ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის. შეიძლება ეს შუამდგომლობა სახელმწიფო რჩევამ შეიწყნაროს და შეიძლება სულ უარი სთქვას. ამიტომ ჯერ-ჯერობით ხაზინაში სიარული ჯამაგირების მისაღებად უქმია.

## სასარგებლო ცოდნა.

---

მუწუკი. ღრო, წყლული (абсцессъ)

ამ წოდებით ჩვეულებრივად იგულისხმება შემოსაზღვრული ბალღმიანი ადგილი კანს ქვეშ, რომელიც გამოჩნდება ან ზემოდ სირბილეში, ანუ ძლიერ ღრმად. მუწუკები იზრდებიან ან მსწრაფლად ანთებისაგან, ან ხანგრძლივ. პირველ შემთხვევაშიდ მუწუკები არიან ანთებულნი და მეორე შემთხვევაშიდ იწოდებიან ცივ მუწუკებად: როდესაც მუწუკი ჩქარა განმავალია, მაშინ კანი მუწუკისა ანთებულია, კანი გაწითლებულია და ხან მოლურჯო, ზევით ამოწეული ადგილი ნიადაგ მტკივანია და ხან დის-ხან ამისთანა მუწუკების გაჩენის დროს ავად-მყოფს შეაცივნებს და მთელს ტანში სიცხეს აძლევს. ამისთანა მუწუკების სიმსხო სხვა და სხვანაირია: კაკლის სიმსხოდან დიდი ვაშლის სიმსხო და ხან მეტიც იქმნება. ცხელი მუწუკი ყოველს კაცის სხეულის ადგილას შეიძლება გამოჩნდეს: თავზე, პირზე, კისერზე, ზურგზე, მკერდზე, წელზე, მუცელზე, იღლიებში, ხელებზე და ფეხებზე. ხშირად მუწუკები გაჩნდებიან პირში და ყანყრატოშიაც. ყბებ ქვეშ, იღლიებში და საზარდულებზე ხშირად მუწუკების ანთება გადავა ჯირყვლების ანთებად და ჩირქად იქცევა. წყლულები ხელებზედ და ფეხებზედ გაჩნდება კანს ქვეშ ქარიანი ადგილების ანთებისაგან.

ცივი მუწუკებიც წარმოადგენენ აგრეთვე ბალღმის განქვეშ დაბუგებას. განირჩევიან იგინი ანთებული, მხურვალე მუწუკებისაგან მით, რომ კანი ამ მუწუკების ზემოდ თავის ფერზეა და არაფრით არ განსხვავდება სხვა მრთელი ტანის კანისაგან და არც იგრძნობება ტკივილი, იზრდება ნელ-ნელა რამოდენიმე კვირის განმავლობაში და აქვს ძირი არა იმა ადგილას, სადაც სჩანს, არამედ სულ სხვა ადგილას, შორს სიღრმეში და უთუოდ დაწყებულია ძვლებიდგან. სიდიდე ცივი მუწუკებისა უმეტესია, ხშირად ამისთანა მუწუკებში არის ორი და სამი ან მეტი სტაქანი ბალღამი. ამისთანა მუწუკების ჩირქი ერთი ადგილიდგან შორ ადგილზე გადის კაცის ტანში და დიდ ხვრელებს იკეთებს.

მუწუკების წამლობა. მუწუკების წამლობა სხვა და სხვა გვარია. ვინემ მუწუკის ადგილი მარტო ანთებულია და არ დაბალღმებულა, უნდა ვეცადოთ, რომ არ დავაბალღმოთ ეს ადგილი. ამ შემთხვევაშიდ სასარგებლოა ხშირ-ხშირად დვება ტყვიის წყალში დასველებული ჩვრისა (ტყვიის წყალი ისყიდება აფთიაქში, რომელსაც რუსულად ჰქვიან „свинцовая вода“), ანუ ამ ადგილს უნდა უსვათ წასასმელი (неаполитанская мазь), რომელიც იაფია და ყოველთვის შეგვიძლია ვიყიდოთ აფთიაქში და გვქონდეს შენახული. თუ ამ წამლების ხმარების შემდეგ მუწუკი არ გაჰქრა, მაშინ უნდა ვეცადოთ, რომ მალე დავამწიფოთ, დავაბალღმოთ მუწუკი. ამისათვის ყველაზე საუმჯობესო არის თბილი სადებები, ანუ მეწუკის დასამწიფებელი წამლების ხმარება. თბილი სადებების ხმარება ჩვენში არ იციან და მოუხერხებელიც არის, როდესაც მუწუკი სადებებისათვის დაუმარჯვებელ ადგილას არის გამჩდარი. ყველაზედ უკეთესი არის თბილი სალბუნები, რომელნიც მომზადდებიან დანაყილი სელის თესლისაგან. დანაყილი სელის თესლისაგან უნდა მოამზადონ ცომი და ცხელ წყალში მოზელილი, ანუ ტაფაზედ მოშუშებული ადვან მუწუკზედ ტილოს ნაჭერშიდ გახვეული. თბილი სალბუნი არ უნდა იყოს ნამეტანი ცხელი. სადები ათი წამის შემდეგ გამოუცვალონ და გაცივებული ხელახლად გამთბარი, შემდეგ გაცივებული სადებისა, დაადვან. ესე უნდა მოიქცენ, სანამ ათ ჯერ არ გამოუცვლიან თბილ თბილს, შემდეგ ავადმყოფი დაასვენონ ორი საათი და ისევ ხელახლად დაიწყონ სალბუნების დადება.

თუ როგორ უნდა უექიმონ მუწუკების გამორწყვას ყანყრატოშიდ, ამაზედ ჩვენ ვიტყვით ქვემოდ. სელის თესლის გარდა ჩვენში ხმარობენ მუწუკების დასამწიფებლად შემწვარ ხახვს, შემწვარ ვაშლს, კაცის ყურა ბალახს, რომელიც ჩვენში იზრდება კლდიან ადგილებში, ამ უკანასკნელი ბალახის ფოთოლს ცეცხლზედ მოშუშვენ და ერთ პირ კანს. ქაღალდის სისქეს, გადააძრობენ და დაადვებენ მუწუკზე. მრავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ გვისენჯავს ამ მცენარის ფოთოლი მუწუკების დასამწიფებლად და ყოველთვის დავრწმუნებულვართ, რომ ყველა სალბუნებში უკეთესია. როდესაც მუწუკი დამწიფდება და შევნიშნავთ, რომ ბალღამი არის დაბუკებული შიგ, მაშინ უნდა ვეცადოთ მის გამორწყვას. ექიმები მუწუკს გასჭრიან ხოლმე ნესტრით, მაგრამ ექიმს გარდა მუწუკის გაჭრა არ შეუძლიათ. სოფელში მუწუკს უყურებენ, სანამ თვითონ არ გაიხსნება და ჩირქი თავისით არ გამოვა. როდესაც ბალღამი იჩენს თავს, მაშინ ადვილად შეუძლიათ მუწუკის თავი გაადიდონ მაკრატლის წვერით, რომ თავისუფლად გამოვიდეს ბალღამი,

ექიმის საშუალებით იქმნა გამოშვებული მუწუკიდგან ბალღამი, თუ თავისით გასქდა მუწუკი, შემდეგ მისი ექიმობა ერთნაირია. მუწუკი ყოველ დღეს უნდა გამოირეცხოს თბილი წყლით და შეიხვეს რბილი სახვევებით. სახვევებად ხმარობენ დაწეწილ ტილოს ძაფებს ზეითუნის ზეთში დამბალს. ზეითუნის ზეთშიდ გაურევენ კარბოლის სიმჟავეს (აფთიაქში ისყიდება). ზეითუნის ზეთის ექვს სტოლის კოვზში გაურევენ ნახევარ ჩაის კოვზს კარბოლის სიმჟავეს, და კარგად აურევენ ერთმანეთში. 1)

მუწუკის მოსაშუშებლადაც ხშირად ხმარობენ ჩვენგან ზემო მოხსენებულ კაცის ყურა მცენარის ფოთოლს. ხშირად ხმარობენ კვერცხის ცილში გაკეთებულს ცაცხვის კ ნის ცილს, რომელსაც მთლად გამოაქვს ჩირქ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი უებარი, სოფლებში ხმარებული სალბუნი, წამლები ზოგიერთ პირთა საიდუმლოებას შეადგენს და თავის სარგებლობისათვის არ უნდათ საქვეყნოდ გამოაცხადონ, მაგრამ არა ნაკლებ სამწუხაროა არის ის დაუდევნელობაც, რომელსაც ჩვენი ექიმები იჩენენ ხალხში ხმარებული ამისთანა წამლების გამოკვლევისათვის. ხშირი შემთხვევა არის, რომ ზოგიერთი მუწუკის ტკივილი ვერ დაუცხრია აფთიაქიდამ გამოტანილ სხვა და სხვა ძვირფას წამლებს, მაგრამ ხშირად სოფლის ბალახ-ბულახისაგან მომზადებული წამლით დიდი სალავათი და ტკივილის დაყუჩება უნახავს ავადმყოფებს.

1) უნდა გსთქვათ, რომ ჩვენს საქართველოს მხარეში როგორც სალბუნები, ისე გამოსარწყავი და მოსაშუშებელი წამლები ბევრ-ნაირი იციან.

---

## განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

## „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დამატებით ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. 8).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. ფურცელაძისას.

პოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

3- 3.

## მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

# „მწყემსზედ“

და

## რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ. |
| — „ ორივე გამოცემა 6 » | — „ ორივე გამოცემა 4 » |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».


## «სასულიერო მოამბე საქართველოს საექსარხოსოჲსა»

### პირველ მარტიდამ 1891 წლისა

გამოიცემა თბილისის სასულიერო სემინარიასთან ორ ჯერ თთვეში ორიდამ სამს საბეჭდავ ფურცელზე რუსულს ენაზე, ზოგი სტატიების (საკითხავების) გადათარგმნით ქართულს ენაზე — შემდეგის შინაარსით:

ოფიციალური ნაწილი. უზენაესნი ბრძანებანი, უქაზები უწ. სინოდისა, განკარგულებანი უმაღლესი სასულიერო და ადგილობრივის საეპარქიო მთავრობათა; ცვალებანი პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში მსახურებენ საქართველოს საექსარხოსოში; უწყება მოქმედებათა «კავკასიასა შინა მართლ-მადიდებლობითის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა» და მისი ანგარიშებიცა; ცნობანი საექსარხოსო სასულიერო სასწავლებელთა ანგარიშები და მოწაფეთა სახარისხო სიები, ანგარიშნი შესახებ შესავალ-გასავლისა ეპარქიულ მზრუნველობათა და სასულიერო სასწავლებელთა.

არა ოფიციალური ნაწილი. სწავლანი, მოძღვრებანი, სიტყვანი და გარეშე ეკკლესიის სამოძღვრო ბაასობანი; ცხოვრება წმიდათ, მსოფლიო ეკკლესიისა და განსაკუთრებით საქართველოს ეკკლესიისა; ბიოგრაფია და ნეკროლოგები იმ თანამედროვე პირთა, რომელთაც თვისის მოქმედებით სარგებლობა მოუტანიათ ეკკლესიისთვის; სტატიები, უმეტესად შესახებ საქართველოს. ზნეობრივის ისტორიულის და აღწერილობითის ხასიათისა; მატიანე საქართველოს საექსარხოსოს ეკკლესიურის ცხოვრებისა და მიწერ-მოწერანი მისთა საეპარქიოთაგან; განმარტებანი საეჭვო კითხვათა სამღვდელო მოქმედებათა შესახებ; პასუხები სხვა-და-სხვა სასულიერო სტატიებზე საქართველოს საექსარხოსოს შესახებ; ადვილ გასაგები ცნობები სახალხო ექიმობის შესახებ; ცნობანი და შენიშვნანი, და განცხადებანი.

ხელის-მოსაწერი სარედაქციო წლიწადი დაწყებული 1 მარტიდამ თავდება თებერვლით. ხელის მოწერა მიიღება თბილისის სასულიერო სემინარიაში. წლიური ფასი 4 მანეთი, ნახევარის წლისა — 2 მანეთი (გაგზავნა რედაქციის ხარჯით).

(3—2)


შინაარსი: სასულიერო გამომძიებელნი. — „მწყემსი“-ს კორრესპონდენცია ლეჩხუმიდგან. მღვდლის საიდუმლო. — მთა წმიდის ტაძარი თბილისში. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სასარგებლო ცოდნა. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 27 Февраля 1891 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.